13/08/2025

MES 4 25 0000977513

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:52 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი; **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
9. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
13. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
14. **ნარგული ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
4. **ანა ქერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
5. **ედვინი სირბილაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია:

1. **ნინო კასრაძე** - რექტორის მოადგილე;
2. **თამარ ჩხეიძე** - რექტორის მრჩეველი;
3. **ლეილა მარუაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. **ნინო ბაქრაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ლიანა ხორბალაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
6. **რუსუდან თაყაიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოწვეული სპეციალისტი;

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ტრისტან გულბიანი - რექტორი;

2. ჯემალ ძაგანია - პრორექტორი;
3. მერაბ მეტრეველი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
4. მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ანა აბისონაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
6. ქეთევან ქობალია- პროგრამის ხელმძღვანელი;
7. მარიამ პაპიაშვილი - მწვრთნელტა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
8. ნინო ძაგანია - მწვრთნელთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

1. **თინათინ გაბრიჩიძე** - განათლების სკოლის დეკანი;
2. **თამარი რაზმაძე** - ხარისხის კულტურის კომიტეტის მენეჯერი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. **ნანა იაშვილი** - ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, დოქტორი, პროგრამის ხელმძღვანელი
2. **რუსუდან ერისთავი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, დოქტორი, პროგრამის თანახელმძღვანელი
3. **მარინე თევზაია** - პროფესორი, დოქტორი, მთავარი მეცნიერი, პროგრამის თანახელმძღვანელი
4. **ზაზა იაშვილი** - პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი
5. **ნინა სამანიშვილი** - პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი
6. **ქეთევან კვირიკაძე** - ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი
7. **ლუკა მიქელაძე** - ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, პროგრამის თანახელმძღვანელი
8. **თამარ-თამთა შავგულიძე** - ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
9. **ალექსანდრე ასათიანი** - მოწვეული პროფესორი, დოქტორი, პროგრამის თანახელმძღვანელი
10. **მარიამ იაშვილი** - ასისტენტ პროფესორი, დოქტორანტი, პროგრამის თანახელმძღვანელი
11. **ანა წერეთელი** - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
12. **მარიამ ჭიჭინაძე** - პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელები
13. **იური მეჩიტოვი** - მოწვეული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
14. **თამთა მეტივიშვილი** - ასისტენტ პროფესორი
15. **ირინა მელაძე** - ასისტენტ პროფესორი
16. **მიქაელ ოქროპირიძე** - მოწვეული პროფესორი
17. **ნინო ღაღანიძე**-თსსა პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ საკითხების შეფასებაში:
1. ნინო პოპიაშვილი (I,II)
2. თამარ ძველაია (I)
3. სანდრო ტაბატაძე (I)
4. თეონა დადუნაშვილი (I,II)
5. ეკა კვანტალიანი (II)
6. თამთა ცხოვრებაძე (II)
7. ეკატერინე ფიფია (III)

8. გიორგი ნიკურაძე (V,VI,VII,VIII)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - **ლევან შავაძემ**, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სრული შემადგენლობა, თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის“ მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის“ მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ ინგლისურენოვან

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სასწავლო მოდული: მუსიკა
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სასწავლო მოდული: მუსიკა
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა და ზოგიერთი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, რის შემდეგაც შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ „სრულ შესაბამისობამდე“.
რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პროგრამის პრაქტიკისა და შეფასების კომპონენტების განვითარებას და ასევე, რამდენიმე შინაარსობრივ ასპექტსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებებ ი ექსპერტთა დასკვნის მიმართ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ბაქრაძემ 1.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობასა და გაზომვადობას, აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განვითარების ჯგუფისა და თვითშეფასების ჯგუფის ჩართულობით და აგებულია 2024 წელს დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელშიც სწავლის შედეგები სამ კატეგორიად და შესაბამის ქვეჯგუფებად. სწორედ, დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტში სწავლის შედეგების დეტალურმა ჩაშლამ გამოიწვია პროგრამის სწავლის შედეგების საერთო რაოდენობის ზრდა. შესაბამისად, თითოეული სწავლის პროგრამის მიღწევადი და გაზომვადია. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სწავლის შედეგების ზღვრული რაოდენობა ზოგადად არ არის დადგენილი. შესაბამისად, უნივერსიტეტი თხოვს საბჭოს ამ რეკომენდაციის მოხსნას.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ვიკა ხორბალაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია - „რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული იყოს მისთვის დამახასიათებელი და ადეკვატური ინსტრუმენტი - იქნება ეს პრეზენტაცია, გაკვეთილის გეგმა, გამოცდა თუ სხვა.“ ბუნდოვანი დარჩა დაწესებულებისთვის, რადგან გაურკვეველია რეკომენდაცია მიემართება კურიკულუმის რუკას, თუ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. თუკი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, მაშინ აღსანიშნავია, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ფორმები დაკონკრეტებულია სილაბუსებში. კურსების უმრავლესობაში შუალედურ შეფასებას წარმოადგენს „პრაქტიკუმი“, რაც გულისხმობს სემესტრის განმავლობაში შესასრულებელ 6 ინდივიდუალურ დავალებას, რომელიც მორგებულია კურსის მიზანზე, მისაღწევ შედეგზე და სტუდენტთა კომპეტენციაზე. ამგვარად, არა კონკრეტული დავალება, არამედ მთლიანი „პრაქტიკუმის“ შედეგი განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევადობას. შესაბამისად, უნივერსიტეტი თხოვს საბჭოს ამ რეკომენდაციის მოხსნას.
„რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების ნაწილში, განისაზღვროს დამსაქმებელთა გამოკითხვის სამიზნე ნიშნული და ფორმაში ინტეგრირდეს კურსდამთავრებულთა ჩართულობის საკითხი“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ინტეგრირებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის პროფესიული განვითარების ნაწილში, ხოლო პროგრამის შეფასებისას გამოყენებულია დამსაქმებელთა გამოკითხვის სხვადასხვა ფორმა - კითხვარები, ჩაღრმავებული ინტერვიუ და შეხვედრები დამსაქმებლებთან და ვინაიდან გამოკითხვის ფორმები განსხვავებულია, მათი პროცენტული კონვერტაცია ხშირად ფორმალური ხასიათისაა. პროგრამის განვითარებისთვის დამსაქმებლების გაჟღერებული ორი იდეა გათვალისწინებულ იქნა და რელევანტური თემები ინტეგრირებულია სილაბუსებში. შესაბამისად, უნივერსიტეტი სთხოვს საბჭოს ამ რეკომენდაციის მოხსნას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოწვეულმა კონსულტანტმა, რუსუდან თაყაიშვილმა ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ სასწავლო კურსის შექმნასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ სამართლებრივი საკითხები სპეციფიკის მიხედვით უკვე არსებობს სხვადასხვა სასწავლო კურსში. მუსიკის საგნის სწავლების სტანდარტი, მუსიკის მასწავლებლის სტანდარტი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, განათლების დღევანდელი სისტემა და სხვა თემები გადანაწილებულია სხვადასხვა პედაგოგიურ კურსში და ისწავლება კონტექსტუალურად. შესაბამისად, უნივერსიტეტი თხოვს საბჭოს ამ რეკომენდაციის მოხსნას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლეილა მარუაშვილმა „პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“ სასწავლო კურსში პორტფოლიოს კომპონენტის დამატებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსი უკვე მოიცავს საჭირო კვლევით და რეფლექსიურ ელემენტებს და მასში პორტფოლიოს ჩართვა არ არის აუცილებელი. ასევე, საგულისხმოს ის გარემოება, რომ დარგობრივი ბლოკის საგნებში სავალდებულოდ ჩართულია პედაგოგიური პრაქტიკის გავლა სკოლაში. ეს კურსებია: მუს-ლიტერატურის სწავლების მეთოდები, მუსიკალურ-რიტმული აღზრდა, მუსიკის თეორიის სწავლების მეთოდები, ფოლკლორის სწავლება და გუნდის დირიჟორობა. გამოცდილი მენტორები ეხმარებიან სტუდენტებს გაკვეთილის დაგეგმვაში, შედეგების ანალიზში, მოსწავლეების შეფასების მეთოდების ათვისებაში და რაც მთავარია, რეალური სასწავლო გარემოს რეფლექსიურ ანალიზში. ამგვარად, ის ორი რეკომენდაცია, რომელიც ეხება პორტფოლიოსა და კვლევას, სასურველია, მოხსნილი იქნას ან რჩევის სახეს ატარებდეს.

ვიკა ხორბალაძემ „მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ლექტორებისა და საგნების შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირება და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული და მრავალმხრივი გავრცელება“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, პროგრამაში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმების არსებობას (კითხვარი და შეხვედრები), რაც იძლევა სრულ ინფორმაციას არსებული ვითარების შესახებ. შედეგები კი სისტემატურად ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს. მისი თქმით, სასურველია, ამ რეკომენდაციის რჩევის სახით ფორმირება.

თვითშეფასების ჯგუფში სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, ნინო ბაქრაძემ მტკიცებულებად მოიყვანა უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 8 ნოემბრის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფში როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პოზიცია. თვითშეფასების დოკუმენტის შექმნაზე პასუხისმგებელი რექტორის მრჩეველი დაეყრდნო სამუშაო ჯგუფის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. მსგავსი ჩართულობის პრინციპებით განახლდა პროგრამა 2023 წელსაც. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ რეკომენდაციის მოხსნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. მას აინტერესებდა, პედაგოგიური პრაქტიკის ფარგლებში რამდენი გაკვეთილის ჩატარების ვალდებულება აქვს სტუდენტს როგორც სამუსიკო სკოლაში, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და როგორ ფასდება მათი პრაქტიკა. ასევე, ხაზი გაუსვა პრაქტიკის დღიურის (პორტფოლიოს) პროგრამაში ინტეგრირების მნიშვნელობას. ლეილა მარუაშვილმა უპასუხა, რომ საჯარო სკოლაში პრაქტიკა იყოფა პასიურ და აქტიურ ნაწილად. პასიური პრაქტიკა მიმდინარეობს ასევე მენტორის ზედამხედველობის ქვეშ და წარმოადგენს მზადების ეტაპს პრაქტიკული ნაწილისთვის, რისთვისაც სილაბუსში 4-5 ჩასატარებელი გაკვეთილია განსაზღვრული, ხოლო დასკვნითი შეფასებისთვის სტუდენტი ატარებს ღია გაკვეთილს და ის ფასდება კომისიის მიერ. შეფასებასა და უკუკავშირს სტუდენტი იღებს მთელი ამ პროცესების განმავლობაში. აგრეთვე, სტუდენტებთან საკონსულტაციო ურთიერთობას ართულებს

პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტის სიმცირე. პრაქტიკის ანგარიშთან დაკავშირებით დაამატა, რომ პორტფოლიოს ჩანაცვლებას ნაწილობრივ ახდენს „პრაქტიკუმი“, თუმცა თუ ამისი აუცილებლობა იქნება, აუცილებლად მოხდება პორტფოლიოს სრულფასოვანი სახით დანერგვა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრის, თამარ ძველაიას თქმით, პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციის ნაწილს დაწესებულება დაეთანხმა, ხოლო მეორე ნაწილის მოხსნას ითხოვს. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა პრაქტიკის სილაბუსი და ინტერვიუს შედეგები. სილაბუსი იყო ბუნდოვანი, იგეგმებოდა მხოლოდ 5 საკითხის გავლა და 2 გაკვეთილის ჩატარება - შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე, ხოლო დანარჩენი დრო - პასიური პრაქტიკა ანუ გაკვეთილზე დაკვირვება. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტები აღნიშნულ პრაქტიკას გადიოდნენ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთან, რომელიც ასწავლიდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის პირველ და მეორე კლასებს და ამგვარად, პრაქტიკის ორივე ნაწილის გავლა მოიაზრებოდა მხოლოდ აღნიშნულ საფეხურზე. ასევე, ოთხ სასწავლო კურში ჩაშენებული პრაქტიკის ფარგლებში ხდებოდა 10-15 წუთიანი ხანგრძლივობის პრაქტიკული დავალებების მიცემა და მის განხორციელებაზე დაკვირვება. საბოლოოდ, პრაქტიკის კურსის დასასრულს სტუდენტს ჩატარებული აქვს ორი გაკვეთილი, რომლის განხორციელების შესახებაც დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იძებნება. სტუდენტის მიერ შედგენილ გაკვეთილის გეგმას აფასებს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სტუდენტის პედაგოგიური უნარების შეფასება, მათ შორის, გამოუცდელი მენტორის პირობებში. პორტფოლიოში უნდა ჩანდეს სტუდენტის პროგრესი განმავითარებელი უკუკავშირების მიღების შემდეგ.
ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სადამრიგებლო პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება, აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება და ჩატარება, ელექტრონული ჟურნალის წარმოება, სკოლის ყოველდღიურ საქმიანობის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული კომპონენტები. შესაბამისად, რეკომენდაციების საფუძველზე უნდა მოხდეს ამ საკითხების პრაქტიკის კომპონენტში ინტეგრირება, რაც შესაძლებელს გახდის სტუდენტისთვის მასწავლებლის როლის სრულფასოვან გააზრებას და სტუდენტის კომპლექსური პრაქტიკული უნარების განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ნინო პოპიაშვილს სთხოვა მოსაზრების გამოთქმა სწავლის შედეგების სიმრავლიდან გამომდინარე მათი მიღწევადობის შეფასების სირთულეზე.
ნინო პოპიაშვილის თქმით, მათი სიმრავლე წარმოადგენდა უმთავრეს განსახილველ პრობლემას და სააკრედიტაციო ვიზიტზე ეს საკითხი დაისვა. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ეყრდნობა იმ პოზიციას, რომ სწავლის შედეგების რაოდენობა თანხვედრაშია 2024 წლის დარგობრივ მახასიათებლებთან, თუმცა ამის მიუხედავად, სწავლის შედეგები კომპლექსურია, მრავალ კომპონენტიანია და მათი რაოდენობა ხელს შეუშლის მათი მიღწევის გაზომვადობას.
ციური დურულის კითხვაზე - რამდენი სწავლის შედეგი აქვს პროგრამას და რას ნიშნავს რუქაში A, B, C და D სიმბოლოები, ნინო ბაქრაძემ უპასუხა, რომ ლათინური ასოებით აღინიშნება - სტუდენტთა რა პროცენტულმა რაოდენობამ უნდა მიაღწიოს სწავლის შედეგს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:47
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით 2032 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით 2032 წლის 30 ივლისამდე.
საგანმანათლებლო დაწესებულების შეუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 30 ივლისს.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის“ მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;
საფეხური: -
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: -
სასწავლო მოდული: სპორტი, სპორტის მასწავლებელი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: -
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სასწავლო მოდული: სპორტი
სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა მოკლედ გააცნო დამსწრეებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის ძირითადი შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს შემდეგ რეკომენდაციას - „რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების დივერსიფიცირება, შეფასების ფორმის მკაფიოდ განსაზღვრა და სამიზნე ნიშნულების შესაბამისობაში მოყვანა შეფასების მეთოდების განახლების .პარალელურად.“ და ასახავს სწავლის შედეგების შეფასების სქემაში, ხოლო „რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს პროგრამაში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს.“ რეკომენდაციასთან მიმართებით დაამატა, რომ სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართული იქნება „განმტკიცების“ დონის ყველა კურსი.
„რეკომენდებულია, პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნების სწავლების დროს გათვალისწინებული იყოს ქართული საგანმანათლებლო სივრცის შემთხვევები (ქეისები) და მათზე რეფლექსია.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ რეალური ქეისები უკვე განიხილება სხვადასხვა სასწავლო კურსის პრაქტიკის ნაწილში, თუმცა მოხდება ამ საკითხის სილაბუსებში ასახვა.
„რეკომენდირებულია, სტუდენტთა მეტი ჩართულობა ადგილობრივ ან საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო პედაგოგიურ კონფერენციებში და უცხოელ ექსპერტებს ელექტრონულ ფორმატში არაერთხელ გაუზიარებიათ თავიანთი გამოცდილება და პრაქტიკა, ხოლო რადგან პროგრამა 1 წლიანია, ვერ ხერხდება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვა. ასევე, გაძლიერდება აკადემიური პერსონალის კონფერენციებში ჩართულობა.
პრაქტიკის დეტალური დოკუმენტის შექმნის შესახებ განმარტა, რომ სხვადასხვა დეტალები, მათ შორის, უნივერსიტეტისა და პრაქტიკის ობიექტის უფლება-მოვალეობები გაწერილია და რეგულირდება მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებში, თუმცა მოხდება ამის ცალკე რეგულაციად დამტკიცება.
„რეკომენდებულია, დეტალურად, სასწავლო კურსების მიხედვით, გაიწეროს კურაციული მეთოდით სწავლების წესი და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კურაციული მეთოდი გამოყენებული იყო ერთეულ შემთხვევებში იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც რეგიონში ცხოვრობდნენ და ვერ ახერხებდნენ სრულფასოვნად პრაქტიკის გავლას და მათთვის არდადეგების პერიოდში შეთავაზებული იყო საკონსულტაციო-აღდგენითი სამუშაოები. ამჟამად უნივერსიტეტი მუშაობის პროგრამისთვის

ელექტრონული პლატფორმის შექმნაზე და მომავალში თუ საჭიროება მოითხოვს, მოხდება კურაციული სწავლების მეთოდის შემუშავება და დანერგვა. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ კურაციული სწავლების წესის დამტკიცების შემთხვევაში, ის მოიცავს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრებს.

სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმზე მან აღნიშნა, რომ უკვე არსებობს მექანიზმი და სტუდენტები სემესტრის დასაწყისშივე ინფორმირებულები არიან, თუმცა მოხდება ამ საკითხის გაუმჯობესებაზე მუშაობა.

„რეკომენდებულია თვითშეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით რეგულარული უკუკავშირის წარმოება.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2022 წლის წინასააკრედიტაციო პერიოდში, 2200 საჯარო სკოლას გადაეგზავნა განახლებული პროგრამა უკუკავშირისთვის და შედეგად მხოლოდ 39 უკუკავშირი დაუბრუნდა პროგრამას. ასევე, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ყოველთვის არის გათვალისწინებული 1-2 დამსაქმებელი, თუმცა უნივერსიტეტი გამოთქვამს ამ მიმართულებით პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობის მზაობას.

„სასურველია, უნივერსიტეტმა სისტემატურად გაითვალისწინოს და სტრუქტურულად გააძლიეროს სტუდენტთა ინიციატივები, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი თემების ჭრილში, როგორიცაა ინკლუზიური განათლების ინტეგრაცია სწავლების პროცესში.“ რჩევასთან მიმართებით დაამატა, რომ 78 სტუდენტთან ჩატარდა ელექტრონული გამოკითხვა პრაქტიკის კომპონენტთან მიმართებით , ხოლო შემდგომში პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფიც. შედეგად მათ ითხოვეს ინკლუზიური განათლების კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში და პროგრამის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს შესთავაზეს პრაქტიკის ობიექტებად ისეთი სკოლები, რომლებშიც შესაძლებელია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა და ცოდნის განმტკიცება.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, ჯემალ ძაგანიამ მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ პროგრამა გაითვალისწინებს რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.

ციური დურულმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინათ თუ რას გულისხმობდნენ პირველ რეკომენდაციაში. ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ სწავლის შედეგები დეტალურად არის ჩაშლილი, მათი შეფასება დამყარებულია მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს, არ არის დეტალურად განსაზღვრული პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების საკითხები და ინტერვიუების საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს სჭირდება გაუმჯობესება.

ციური დურული დაინტერესდა, თუ რის საფუძველზე გაიცა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებული რეკომენდაცია მაშინ, როცა ზოგადად დადებითად არის შეფასებული ორივე მათგანის საქმიანობა.

ნინო პოპიაშვილის თქმით, რეკომენდაციის ავტორია ექსპერტთა ჯგუფის წევრი თამთა ცხოვრებაზე, თუმცა შეიძლება აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს გამოიკვეთა ხარისხის სამსახურის ინფორმატიულობის ნაკლებობა და სასურველია მდგომარეობა ამ მიმართულებით გაუმჯობესდეს.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ „რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სტუდენტების სისტემური და თანაბარი ინფორმირება შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებზე, რადგან უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტთა ინფორმირებულობა და პროცესის გამჭირვალეობა.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ მექანიზმი არსებობს და ის ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე, რატომ გახდა საჭირო ამ რეკომენდაციის გაცემა. ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა

წარადგინა პროგრამაზე მიღების შიდა ნორმატიული შედეგების გასაჩივრების მექანიზმს, ხოლო სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინია არ იცნობდნენ ზოგადად გასაჩივრების მექანიზმს და საჭიროა მათი ინფორმირება.
ჯემალ ძაგანიამ დააზუსტა, რომ არსებობს შიდა ტურის ჩატარების დეტალური დებულება. ნორმატივების ჩაბარებისას აპლიკანტებს ადგილზევე ეცნობათ თავიანთი შედეგები. პროგრამა 7 წლის განმავლობაში იყენებს ამ მეთოდს და აქამდე არ მომხდარა შედეგების გასაჩივრება, ხოლო დებულება ვებ-გვერდზე არის განთავსებული და აღნიშნული გამოცდის დაწყებამდე ვერბალურადაც ეცნობათ აპლიკანტებს. ნინო პოპიაშვილმა დაადასტურა, რომ პროცედურა არსებობს და ვებ-გვერდზე არის ხელმისაწვდომი.
ვლადიმერ ადეიშვილმა პროგრამის ხელმძღვანელს დაუსვა დამაზუსტებელი კითხვა. მას აინტერესებდა, პრაქტიკის შეფასების კომპონენტებში არსებული დასკვნითი გამოცდის ფარგლებში რის პრეზენტაციას აკეთებს სტუდენტი და ასევე, შესასრულებელი ხუთი თემატური გეგმის გამოყენება შეუძლია თუ არა სტუდენტს ჩასატარებელ გაკვეთილში. გაკვეთილის რეფლექსიის ნაწილში თავისი გაკვეთილის რეფლექსიას ახდენს სტუდენტი თუ სხვისას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ქობალიამ უპასუხა, რომ შესაფასებელია 5 გაკვეთილის გეგმა და სტუდენტს აქვს უფლება გამოიყენოს ეს გეგმები განსაზღვრული სამი გაკვეთილის ჩასატარებლად. პრეზენტაციისას კი წარადგენენ ჩატარებული გაკვეთილების, აქტიური პრაქტიკის გარემოებებს, ხოლო რეფლექსიას აკეთებენ მათ მიერ ჩატარებული ხუთივე გაკვეთილის შესახებ. სამ გაკვეთილს სტუდენტი ატარებს სემესტრის ბოლო კვირაში განმავლობაში, ხოლო მანამდე მხოლოდ გაკვეთილის კონკრეტულ ნაწილებს.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რამდენად აქვს დაწესებულებას სათანადო მატერიალური ბაზა ინკლუზიური განათლების მიმართულებით ელექტრონული სწავლების განსახორციელებად. ასევე, აქვს თუ არა აღებული უნივერსიტეტს წინასწარი ნებართვა ონლაინ სწავლებისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან და როგორ აფასებენ ექსპერტები სილაბუსების შინაარს, როცა სწავლის მეთოდებში ელექტრონული სწავლების მეთოდები ნაკლებად იკვეთება. მეორე კითხვის ფარგლებში ის დაინტერესდა, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროგრამა დარგობრივ დოკუმენტებს. მესამე შეკითხვის ფარგლებში კი დაინტერესდა თუ რამდენად არის პროგრამაზე მიღების წინაპირობები შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან.
ნინო პოპიაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულება გეგმავს ელექტრონულ სწავლებაზე მუშაობას და ამ დროისთვის ეს საკითხი არ არის ბოლომდე განხილული, როგორც ეს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს. ელექტრონული სწავლება პრობლემურია როგორც კონკრეტული კურსების, ისე მთლიანად სწავლების პროცესში და ეს განიმარტა კურაციულ სწავლებასთან დაკავშირებითაც. რაც შეეხება დარგობრივ მახასიათებლებს, პროგრამა არ განახლებულა ბოლო წლების განმავლობაში და კარგი იქნებოდა მისი გადამუშავება ახალ დარგობრივ მახასიათებლებთან მიმართებით. მან ასევე აღნიშნა, რომ განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები წინარე კვალიფიკაციის კუთხით და ასევე, განსაზღვრულია შიდა ტური, სადაც ნორმატივები დიფერენცირებულია გენდერული, ასაკობრივი და წონის მახასიათებლების მიხედვით, რაც კარგ პრაქტიკას წარმოადგენს.
მაია ხურციალვამ ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით დაამატა, რომ უნივერსიტეტი ამჟამად მუშაობს “Google for Education” პლატფორმის დამუშავებაზე და სასწავლო კურსების ადაპტირებაზე, სადაც განსხვავებული იქნება სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების სისტემა, რაც შესაძლებლობას მისცემს რეგიონში მაცხოვრებელ სტუდენტებს. ხოლო პრაქტიკის პერიოდად განიხილება საგაზაფხულო არდადეგების პერიოდის განსაზღვრა, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტთა ჩართულობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:13
დასრულების დრო: 16:29

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის“ მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით 2032 წლის 30 ივლისამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის“ მომზადების საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 30 ივლისამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით 2032 წლის 30 ივლისამდე.
საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგლონლბის საფუძლეზე აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2025 წლის 30 ივლისს.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერება;
საფეხური: დოქტორანტურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი;
დეტალური სფეროს კოდი: 0111 განათლების მეცნიერებ**ა;**
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 60;
სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკა ფიფიამ აღნიშნა, რომ 11 რეკომენდაციიდან 10 შესრულებულია. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გაუგებარია, რატომ სადოქტორო დონეზე 100-დან 40 ქულა სწავლის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
„განთლების სკოლის“ დეკანმა, თინათინ გაბრიჩიძემ განმარტა, რომ აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისას ფიქსირდება ერთგვარი ტექნიკური ხარვეზი, რადგან ნაგულისხმევია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმებიდან უშუალოდ შესრულებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისთვის განკუთვნილი 40 ქულა, რომელიც აღებულია 60 ქულიდან და არა 100-დან. დაწესებულება მზად არის გაითვალისწინოს რეკომენდაცია და ცვლილება შეიტანოს სამიზნე ნიშნულში. ეკა ფიფიამ ხაზი გაუსვა, რომ სამიზნე ნიშნული დაანგარიშებული უნდა იყოს 100 ქულიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები და კითხვები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და არგუმენტირებული პოზიცია იყო დეტალური და დამატებითი გარემოებების გამოკვლევას არ საჭიროებდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 16:53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერების“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიახელოვნება/ციფრული მედია
საფეხური: ბაკალავრიტი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი მედიახელოვნებაში
დეტალური სფეროს კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

მეხუთე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიახელოვნება/ციფრული მედია;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში;
დეტალური სფეროს კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიახელოვნება/ციფრული მედია
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნებაში;
დეტალური სფეროს კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, გიორგი ნიკურაძემ განმარტა, რომ დასკვნაში რეკომენდაციები მეტწილად შესრულებულად იყო შეფასებული, რადგან უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები ქმნიდა გარკვეულ ორაზროვნებას, ბუნდოვანებას. დაწესებულებას კი შეუძლია განმარტოს ეს ნაკლოვანებები სხდომის მიმდინარეობისას. ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციების კუთხით, სახეზეა უფრო მეტი მტკიცებულებით ხარვეზი, თუმცა ორივე შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია მტკიცებულებების წარმოდგენა. მან ყურადღება გაამახვილა აუდიტორიების საკითხზე, რადგან გამოთხოვილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ აუდიტორიებში სტუდენტებისა და სამუშაო კომპიუტერების თანაფარდობა არ იყო ერთი ერთთან, არამედ ერთ ორთან, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს განათლების ხარისხზე, მაგალითად, ერთი კომპიუტერით შეუძლებელია ორმა სტუდენტმა ხარისხიანად შეისწავლოს Photoshop-ი. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ აუდიტორია 30%-ით არის დატვირთული. შესაბამისად, ცხრილისა და აუდიტორიების სხვაგვარი განაწილებით ხსენებული პრობლემა მოგვარებადია. ამ პრობლემის მოგვარებას დასჭირდება სემესტრის დასაწყისში ცხრილის გადაკეთება, მაშინ როცა სხვა მეტწილად შესრულებულად შეფასებული რეკომენდაციების გამოსწორებას შეიძლება ერთი კვირაც კი ეყოს. ზოგადად კი სასურველია ყოველ 5 წელიწადში ერთხელ განახლდეს კომპიუტერული ბაზა და ამისთვის განსაზღვრული იყოს ბიუჯეტის წყარო.
მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მტკიცებულებებად წარმოადგინა ოქმები, სადაც ჩანს მხოლოდ საბოლოო დასკვნა და პროცესის გამჭვირვალობისთვის სასურველია ოქმში დეტალურად ჩანდეს ვის რა მოსაზრება ქონდა სხდომის მიმდინარეობისას.
დამსაქმებლებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებელი, თუმცა საჭიროა პროგრამას ჰყავდეს სხვა დამსაქმებლებიც, ხოლო მემორანდუმებში ასახული იყოს სტუდენტთა რაოდენობა, ხანგრძლივობა და ასევე, ცალკე დოკუმენტში მოცემული იყოს სტაჟირებაზე მიღებული შედეგები.
გიორგი ნიკურაძის თქმით, უშუალოდ პროგრამების ინდივიდუალურ რეკომენდაციაზე დაწესებულებამ საფუძვლიანად იმუშავა და ზედმიწევნით შეასრულა.

მედიახელოვნება ციფრული მედიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შესახებ გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ ხუთივე ინდივიდუალური რეკომენდაცია შესრულებულია. ასევე დაამატა, რომ პროგრამა აკადემიურ პერსონალს ნებას რთავს ასწავლოს ინგლისურენოვანი კურსი თუ მას უდასტურდება ერთ ინგლისურენოვან კონფერენციაზე მოხსენების წაკითხვა, რაც ვერ იქნება იმის გარანტია, რომ მას შეუძლია ინგლისურ ენაზე წაიყვანოს კურსი, მაშინ როცა სტუდენტებს მოეთხოვებათ B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენცია. სასურველია აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს მინიმუმ B2 დონის კომპეტენცია და მკვლევარს C1.
მედიახელოვნება ციფრული მედიის სამაგისტრო პროგრამაში ოთხივე ინდივიდუალური რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ღაღანიძემ აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში მეტ ჩართულობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა ახალგაზრდა პერსონალის ჩართულობას. აკრედიტაციის შემდეგ დაიგეგმა დამატებითი შეხვედრები, რომლებზეც მიდის მსჯელობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან მიმართებით და ისინი დაოქმებულია. ასევე, გამოკითხულ იქნა პერსონალი, რომელმაც გამოყო თავისთვის საინტერესო საკითხები ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. სამუშაო შეხვედრებზე ყურადღება იყო გამახვილებული აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებზე, მათ შორის, სამიზნე ნიშნულების და შეფასების საკითხზე, ტერმინოლოგიაზე და ა.შ. ასევე, სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგებს ეცნობა სამუშაო ჯგუფი რამდენიმე აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შემადგენლობით. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტამდე გამოცხადებული იყო ტენდერი კომპიუტერების შეძენაზე და უკვე 2024 წლის გაზაფხულზე ფაკულტეტმა შეიძინა 40 კომპიუტერი. ამჟამადაც გამოცხადებულია კიდევ ერთი ტენდერი. 2023 წლიდან მოყოლებული კულტურის სამინისტროს დახმარებით ამ მიმართულებით სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2026 წლის ბიუჯეტში წესით გათვალისწინებული უნდა იყოს კიდევ ერთი შესყიდვა. ოქმებთან დაკავშირებით დაამატა, რომ თუკი სხდომის საბოლოო გადაწყვეტილების შედეგად რეკომენდაცია შესრულებულია, მაშინ მისი დეტალური დაოქმება მეორეხარისხოვანია. გიორგი ნიკურაძემ დააზუსტა, რომ დეტალური დაოქმება საჭირო იყო ახალგაზრდა პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოში ჩართულობის გამოსარკვევად, როგორც ეს რეკომენდაციაში იყო მოცემული.
მედიახელოვნება ციფრული მედიის ფაკულტეტის დეკანმა, ნანა იაშვილმა მადლობა გადაუხადა გიორგი ნიკურაძეს გაწეული მოცულობითი შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან მოთხოვნადი როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზე. მისი თქმით, შეხვედრების ჩაწერა ხდება ასევე ვიდეო ფორმატში და რაც მთავარია, თუკი რეკომენდაციის შესრულებაზე მეტყველებს სხვადასხვა დოკუმენტაცია, დაოქმების საკითხი არ არის რელევანტური. რაც შეეხება სტუდიურ სწავლებას, ყველა აუდიტორიაში, სადაც კომპიუტერებია განლაგებული, არ ისწავლება მხოლოდ Soft-ი, არამედ მიდის იდეების დამუშავება. ასევე, 9 ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი იკავებს ექსპერტის პოზიციას, ხოლო 5 აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებდა დარგობრივი სტანდარტის შემუშავებაში, მათ შორის, აუდიო-ვიზუალური სტანდარტის შემუშავებაში - 2. ასევე, მოხდა დეკანის ფუნქციებისა და პროგრამების ხელმძღვანელების ფუნქციების გამიჯვნა. აუდიტორიებისა და დროების ოპტიმიზაცია შესაძლებელია, თუმცა არსებული გადანაწილება არის განპირობებული სწავლა-სწავლების პროცესის სპეციფიკიდან და აღსანიშნავია, რომ სტუდენტები დიზაინის კურსზე იყენებენ საკუთარ ლეპტოპებს. გიორგი ნიკურაძემ დააზუსტა,

რომ კომპიუტერებთან დაკავშირებული რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ იმ კურსებს, რომლის სილაბუსებიც მოიცავს პრაქტიკულ სამუშაოს კომპიუტერთან, სადაც კარგი შედეგის მისაღებად საჭიროა ერთ კომპიუტერთან იჯდეს ერთი სტუდენტი. ადგილების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კომპიუტერების ნაკლებობა. ნანა იაშვილმა დაამატა, რომ 401 აუდიტორია არის ერთადერთი, რომელშიც Soft-ი ისწავლება და ის შეივსო 10 კომპიუტერამდე, ხოლო დანარჩენ აუდიტორიებში მიმდინარეობს სტუდიური სწავლება მულტიპროფილური კომპონენტებით. გიორგი ნიკურაძემ უპასუხა, რომ დასკვნაში მოცემული გაანგარიშება მოცემულია უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით და აღნიშნული კომპიუტერების ნაკლებობა აუდიტორიებში გამოიწვევს პრობლემებს იმ კურსებში, რომლებიც სრულად პრაქტიკული მეცადინეობებით არის აგებული, ხოლო სტუდენტის მიერ პირადი ლეპტოპის გამოყენება არის მხოლოდ მისი კეთილი ნება და უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მათი მატერიალური უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კომპიუტერული პროგრამების შესწავლისას ხდება მათი შეფასება. ნანა იაშვილმა დაამატა, რომ გასულ წელს ფაკულტეტმა შეიძინა 40 კომპიუტერი, ხოლო ამჟამად არის 15 კომპიუტერის მოლოდინში და ზოგადად, სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ეტაპობრივი განახლებები, რათა მატერიალური ბაზა იყოს თანამედროვე და ვალიდური.

უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მედიახელოვნება ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამაზე, სადაც არის სამი კონცენტრაცია, დაამტკიცა ექვსი თანახელმძღვანელი. შესაბამისად, კლასტერული რეკომენდაციების ხუთი კომპონენტი შესრულებულია.

ფოტოგრაფიის მოწვეულმა პროფესორმა, მიქაელ ოქროპირიძემ ინვენტარიზაციის შესახებ აღნიშნა, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით თვალშისაცემი პროგრესია. 510 აუდიტორია არის ფოტოგრაფიის სტუდია, სადაც ძირითადად ფოტოსესია და დავალებების შეფასება მიმდინარეობს. შესაბამისად, კომპიუტერების დამატების აუცილებლობა ამ აუდიტორიაში არ იკვეთება.

ნინო ღაღანიძემ ბიბლიოთეკასა და სამუშაო სივრცეებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე გააკეთა განმარტება, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ისტორიულ შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და ბიბლიოთეკა გადატანილი იყო სხვაგან, ამჟამად კი მთელი საბიბლიოთეკო რესურსები დაბრუნებულია უკან, მოწესრიგებულია სამკითხველო დარბაზი, მხოლოდ წიგნები არ არის განთავსებული სტელაჟებზე. შესაბამისად, რეკომენდაციის მოთხოვნა შესრულებულია.

ნანა იაშვილმა პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით დაამატა, რომ საწარმოო პრაქტიკა და სტაჟირება შეიცვალა წინასადიპლომო პრაქტიკით. მესამე კურსზე სტუდენტები გადიან 3 კრედიტიან პრაქტიკას რეალურ სტუდიურ პროექტებში და ასევე, სადიპლომო თემებად შეთავაზებულია კრეატიული ინდუსტრიის ბაზარზე მოთხოვნადი საკითხები, როგორც ეს დარგობრივ სტანდარტშია მოთხოვნილი. გიორგი ნიკურაძემ უპასუხა, რომ პროგრამის განმახორციელებლები ხშირად თავად არიან სტაჟირების დამსაქმებლები და არ ჩანს პარტნიორებთან მემორანდუმების სიის გაფართოების ტენდენცია. შესაბამისად, სასურველია ფაკულტეტმა იზრუნოს პარტიორების მოძიებაზე, რაც შესაძლებელია ფაკულტეტმა მოაგვაროს მომდევნო სემესტრში.

თამთა შავგულიძემ პედაგოგთა გადამზადების ინვესტიციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამეცნიერო კომპონენტის თვალსაზრისით დაგეგმილი იყო და განხორციელდა ტრენინგები, მაგალითად, კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით, რაც მოიცავს პლაგიატს, საავტორო უფლებებს და ხელოვნურ ინტელექტს. აკადემიაში შეიქმნა ეთიკის კომიტეტი, რომელიც მოახდენს კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე მუშაობის დელეგირებას.

ფოტოგრაფიის მოწვეულმა ლექტორმა აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკისთვის ხშირად გადიან სხვადასხვა პროექტებზე, ზოგიერთი მათგანი უკვე დასაქმებულია პროფესიით და ასევე, წელს მასთან ერთად იყვნენ წასულები გერმანიაში პრაქტიკებზე, თუმცა ეს არის პირადი ინიციატივა და არა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვა დასვა კომპიუტერების რაოდენობასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, პრაქტიკული მუშაობის აუდიტორიებში კომპიუტერები საკმარისია თუ არა და ასევე, აკრედიტაციის დროს აჩვენა თუ არა დაწესებულებამ ექსპერტებს ის ლეპტოპები, რომლებითაც დაწესებულების თქმით ხერხდება კომპიუტერების ნაკლებობის აღმოფხვრა აუდიტორიებში. გიორგი ნიკურაძემ უპასუხა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს არსებული კომპიუტერები იყო სტანდარტებისგან 10 წლით მოძველებული და სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს მათ გაუმართავ მუშაობას. გამოცხადებული ტენდერით უნივერსიტეტმა შეიძინა ბოლო თაობის კომპიუტერები და ისინი გადანაწილდა აუდიტორიებში. ამჟამად აუდიტორიებში არის კომპიუტერების უკმარისობა, თუმცა შესაძლებელია და სასურველია ამ აუდიტორიებში კომპიუტერების გადანაწილების ოპტიმიზაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს კომპიუტერები იყო მოძველებული (i3 და i5 მოდელის პროცესორები), თუმცა სირთულეების მიუხედავად ტარდებოდა მეცადინეობები. ამჟამად რამდენიმე კარგ მდგომარეობაში მყოფი ძველი კომპიუტერის გარდა ყველა კომპიუტერი არის ახალი და მომავალში ხსენებული ძველი კომპიუტერებიც ჩანაცვლდება ახლებით. ეს ტენდერის გამოცხადების მიხედვით მოხდება აგვისტოში ან ოქტომბერში. ნანა იაშვილმა თქვა, რომ თუ რეკომენდაციების შესასრულებლად საკმარისი იქნება მხოლოდ კომპიუტერების გადანაცვლება, მაშინ ამის შესრულება ზეგვე არის შესაძლებელი. ასევე დაამატა, რომ ოქტომბრის ბოლოს შეძენილი იქნება ახალი კომპიუტერები და ზოგადად, ყველა დარჩენილი რეკომენდაციის შესრულებას დასჭირდება სემესტრზე ნაკლები. გიორგი ნიკურაძემ დააზუსტა, რომ მხოლო და მხოლოდ საჭიროა ერთ კომპიუტერს იყენებდეს ერთი სტუდენტი, ხოლო ამ საკითხის მოგვარების გზებში უნივერსიტეტი რა თქმა უნდა თავისუფალია. ამასთანავე, ხარვეზი რჩება სამაგისტრო საფეხურის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ ინგლისური ენის კომპეტენციის პირობებში, რომელშიც აკადემიური პერსონალის ინგლისურენოვან კონფერენციებზე მონაწილეობა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ის სრულფასოვნად მოახერხებს ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის წარმართვას. ეს პირობა უნდა გადაიხედოს ან პერსონალი შემოწმდეს ტესტირებით, რასაც არ ეყოფა ერთი თვე და გონივრული ვადა სრული სემესტრია.
რუსუდან ერისთავმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენცია მათ მიერ წინასწარვე არის დადასტურებული, ხოლო პროგრამის თანახელმძღვანელს, ალექსანდრე ასათიანს განათლება უცხოეთში აქვს მიღებული. ის ადასტურებს ენის კომპეტენციას შესაბამისი დოკუმენტაციით. ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე პროგრამაზე მიღების წინაპირობებში ინგლისური ენის კომპეტენციად განსაზღვრულია B2 და C1 დონეები. გიორგი ნიკურაძემ დაამატა, რომ საუბარი არ არის კონკრეტულ პირებზე, არამედ ზოგად შიდა რეგულაციაზე. ნანა იაშვილის თქმით, არსებულ გამოცხადებულ ვაკანსიებში, ასოცირებული პროფესორებისთვის უკვე წაყენებულია B2 დონის მოთხოვნა.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო: 17:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის, საბჭო მიმართავს ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნეს მიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის, საბჭო მიმართავს ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნეს მიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის, საბჭო მიმართავს ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახელოვნება/ციფრული მედიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნეს მიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გრაფიკული დიზაინი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში;
დეტალური სფეროს კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

მერვე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის **დასახელება:** ფოტოხელოვნება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში;
დეტალური სფეროს კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, გიორგი ნიკურაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნებში მოყვანილი შეფასებები კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ყურადღება გაამახვილა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც შეფასდნენ როგორც აკრედიტაციის სტანდარტებთან მეტწილად ან ნაწილობრივ შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებებ ი ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

ნინო ღაღანიძემ დაადასტურა, რომ პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებით წარდგენილი იყო 2016 წლით დათარიღებული დოკუმენტი და ხანგრძლივი პრობლემური მუშაობის შემდეგ, 10 ივლისს შეიქმნა დოკუმენტი, რომლითაც ზეგანაკვეთური და ადმინისტრაციული დატვირთვა არის ფინანსურად წახალისებული. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია დღეს უკვე შესრულებულია ორივე პროგრამისთვის. ასევე, დაწესებულებამ გადაიაზრა სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და გაამრავალფეროვნა ისინი. კურსის შინაარსთან დაკავშირებულ გამოკითხვებთან ერთად, დაინერგა სასწავლო გარემოსა, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ასევე მხარდამჭერი სერვისების შესახებ გამოკითხვები. სტუდენტთა გამოკითხვის ფორმების გარდა, გამრავალფეროვნდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები. მაგალითად, აკადემიური პერსონალისთვის დაემატა გამოკითხვა პროფესიული განათლების მიმართულებით საუნივერსიტეტო მხარდაჭერის შესახებ. აღნიშნულ გამოკითხვაზე დაყრდნობით მომავალ სემესტრში დაიგეგმება უფასო ტრენინგები პერსონალისთვის. ელექტრონულ გამოკითხვაზე გადასვლამ შეამცირა სტუდენტთა ჩართულობა ამ პროცესში. ამის შემდეგ სტუდენტთა პორტალზე გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება სტუდენტებისთვის გახდა სავალდებულო. ეფექტური გამოდგა გამოკითხვის დასრულებისთანავე სტუდენტებისთვის მათთვის საყურადღებო საკითხებზე მოკლე ანგარიშის დაბრუნება, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. ასევე, პოპულარიზაციის კუთხით აღნიშნა, რომ პირველი კურსის სტუდენტებს ჩარიცხვისთანავე ხვდება ყველა სამსახური და აწვდიან მათ შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის, სტუდენტების მხრიდან უკუკავშირის გაცემის კულტურის კუთხით, ხაზი გაუსვა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ აქტივობებს. მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებული გამოკითხვა კი ჯერ-ჯერობით არ არის დასრულებული.

ირინა კაციაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დაგეგმარება ხდება ცენტრალურად, თუმცა განხილვა მიმდინარეობს ფაკულტეტთან ერთად და მოგების ბიუჯეტში გაწერა ხდება ფაკულტეტის მოსაზრებების გათვალისწინებით. ბოლო 2 წელია ფაკულტეტს აქვს დიდი დაფინანსებები კულტურის სამინისტროსგან, რაც მოიცავს როგორც აღჭურვას, ისე სხვადასხვა პროექტებსა და გაცვლით პროგრამებს.

გრაფიკული დიზაინის პროგრამის თანახელმძღვანელმა, ანა წერეთელმა აღნიშნა, რომ გრაფიკული დიზაინის პროგრამებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ადეკვატური ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა ნამდვილად უმნიშვნელოვანესია, თუმცა პროგრამის ბევრი კურსი ორიენტირებულია შემოქმედებით სამუშაოზე, სადაც 1-2 კომპიუტერიც საკმარისია. განსახილველი რეკომენდაცია შესრულებადია როგორც ცხრილის ადაპტირებით, ისე ტექნიკური ბაზის გაფართოებითა და განახლებით, რისი უზრუნველყოფაც ამჟამად მიმდინარეობს. დამკვიდრებული პრაქტიკით კი სტუდენტები უნივერსიტეტში ატარებენ პერსონალურ ლეპტოპებსა და პადებს. ამასთანავე, დაამატა, რომ გრაფიკული დიზაინის ორი სტუდენტი არის გაცვლითი პროგრამით ავსტრიასა და ესპანეთში. ანნა წერეთლის თქმით, პროგრამას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა სტუდიებთან. სტუდენტები ამ სტუდიებში გადიან პრაქტიკებს და იყო შემთხვევა, როცა კრეატიულმა სააგენტო „კრაკენმა“ სამუშაოდ დაიტოვა რამდენიმე სტუდენტი.

გრაფიკული დიზაინის პროგრამის თანახელმძღვანელმა, მარიამ ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ ახალი მეთოდით ნაშრომის ხელმძღვანელებს ეკრძალებათ საკუთარი დიპლომანტის ნაშრომის შეფასება. გიორგი ნიკურაძის თქმით, რეკომენდაცია შესრულებულია, თუმცა კარგი იქნებოდა

მეტი დეტალიზაცია სილაბუსში. ზოგადად კი სილაბუსებში გასამიჯნია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გრაფები. ასევე, დასკვნითი და შუალედური დავალების გარდა სასურველია მოცემული იყოს 10 დავალება (თითო 3 ქულა), რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ ახალი მასალის მუდმივ დამუშავებას და ზრდის მათ მოტივაციას. გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ ფოტოხელოვნების ერთ-ერთი კურსის სილაბუსში სახელმძღვანელოს მაგივრად მითითებული იყო "Youtube"-ს ლინკი, ხოლო ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის რამდენიმე კურსის ძირითად ლიტერატურად მითითებული იყო ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ფოტოხელოვნების პროგრამის პერსონალის თქმით, ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად არის ქართულენოვანი დოკუმენტაციაც. ასევე, პროგრამას აქვს ფოტოგრაფიისთვის სრულად აღჭურვილი აუდიტორია: ძირითადი და დამხმარე განათებები, ფონები, დამხმარე რეკვიზიტები, სამი ფოტოკამერა. ასევე, შემდეგი ტენდერისთვის შედგენილია სია 15 დამატებითი მატერიალური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ მოსაზრებები და კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა და არგუმენტირებული პოზიცია იყო დეტალური და დამატებითი გარემოებების გამოკვლევას არ საჭიროებდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:45
დასრულების დრო: 19: 10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის, საბჭო მიმართავს ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 14
წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნეს მიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის, საბჭო მიმართავს ცენტრს 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე – 14
წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{2} -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში არ იქნე ამიღებული ცნობად. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 6 თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 30 ივლისის 19:52 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე